ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას თექვსმეტი წლის ცხრამეტ ოქტომბერს **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **შპს « კომპანია კ.ბ.რ. »-ს (ს/კ 211349904) გენერალურმა დირექტორმა თამაზ ახმეტელაშვილმა.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **თამაზ ახმეტელაშვილმა** (დაბადებული 11.02.1942წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, თ. იოსებიძის ქ. №61, ბინა 23, ბარათის №15ID36684, პირადი: 01024016392, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 28.06.2016წ.) მომმართა. მე შევამოწმე **თამაზ ახმეტელაშვილის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **შპს « კომპანია კ.ბ.რ. »-ს (ს/კ 211349904) გენერალური დირექტორი თამაზ ახმეტელაშვილი** (დაბადებული 11.02.1942წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, თ. იოსებიძის ქ. №61, ბინა 23, ბარათის №15ID36684, პირადი: 01024016392, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 28.06.2016წ.) ვენდობი **შპს "დომსონს ინჯინიარინგ"-ის (ს/კ 405126572) დირექტორს ლევან მაჭავარიანს** (დაბ. 05.12.1986წ. პირადი: 01024044742) იყოს **შპს « კომპანია კ.ბ.რ. »-ს (ს/კ 211349904)** წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, მიმართოს მათ განცხადებებით, აწარმოოს **შპს « კომპანია კ.ბ.რ. »-ს** კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე მდებარე ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №8ა (ს/კ 01.15.03.004.001) ფასადისა და სახურავის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საქმიანობა, შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს მასში ცვლილებები/კორექტივები და მიიღოს ნებართვები, განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 2017 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს « კომპანია კ.ბ.რ. »-ს გენერალური დირექტორი

თამაზ ახმეტელაშვილი _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

საქართველო. ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე. GEORGIA. NOTARY NANA BAKURADZE. 01024030536

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85258072391916

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161203611

რეგისტრაციის თარიღი

19.10.2016 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 2 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18